

სარგის კაცაბაძე.

# საუღნელებელი

## ბუბრაზ კურსალები

K 15.513  
3

6373-2000  
საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკი

ტყილის  
სტამბა „თაღეზდა“ მიხეილის ქუჩა № 5  
1912 წ.

1483.1 (22x15) : [3. A].

## სჯულმდებარები ბაზრატ კურაპალატი

როგორც ცნობილია, ბექას და ოლბულას კანონებს ვახტანგ მეფის კოდექსში თან მისდევს ბაგრატ კურაპალატის მიერ შედგენილი სამართალი, რომელიც იწყება შემდევ ნაირად: „სახელითა ღუთისათა დაიწყების საღმოსა გაჩენილი გასაჩენელი, პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატ და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და კკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამიდ გაჩენილი განგები თა ღუთისათა.“ \*)

ამ სჯულმდებელის ბაგრატის სამართალი, რომელიც დაჩუბინოვის გამოცემით 77 მუხლს შეიცავს, ჯერ სრულიად შეუმჩნეველი იყო, ხოლო შემდეგ მისი შედგენა მიაკუთვნეს მე-XI საუკუნეს. მაგრამ როგორც გარეგანი სტილისა, ისე რეალური შინაარსის მიხედვით ყოვლად შეუძლებელია ეს სამართალი ასე აღრინდელ დროს შეედგინოთ. ერთის შეხედვით ს წარმოადგენს შუა საუკუნეების ბოლო დროინდელ ნაწარმოებს. ამ საკითხის გამორკვევას ის გარემოება აფერხებდა, რომ ჩვენმა ისტორიამ არ იცის არც ერთი მეფე ბაგრატ კურაპალატის სახელწოდებით შემდეგ მე-XI საუკუნისა. ჩვენ ვიპოვეთ საბუთი, საიდანაც სჩანს, რომ ეს ბაგრატ კურაპალატი არის მე-XVI საუკუნის მეფე. ეს საბუთი წარწერილია ნიკორწმინდის მე-XI საუკუნის სიგლის მეორე პირზე. თვით ნიკორწმინდის სიგელი გამოსცა საკმაოდ კარგი გად—თუ ორიოდე წვრილ შეცდომას არ მივიღებთ სახეში—

\*) დ. ჩუბინოვის ქართ. ქრისტომ., სპბ. 1863, ნაწ. I გვ. 226.



ბ-ნ თ. უორდანიამ \*\*). სიგელი დაწერილია ტუჭიშვილის  
219×11 $\frac{1}{2}$  სანტმ. და თავიც აკლია. სიგლის მეორე გვერდ-  
ზე ლამაზის მე-XVI საუკუნის ნუსხა ხუცურით მიყობა შემ-  
დეგი. სამწუხაროდ მელანი თითქმის სულ გადასულია და  
ამიტომ ტექსტის წაკითხვა ძლიერ პირდება.

ქ. ღვთით გვრგვნოსანმან მეფემნ ბა(გრატ გა)ნახლა  
და კდ აღაშენა ეკლესია (წმიდა)ის მღვდელთ მძღვრის ნკზის  
მისდა (სადღ)ეგრძელოთ და გასამარჯვებლად (და) საუკუნოთ  
საცხრებლად რ მრვალნი ძლნი და სსწაულნი იხი(ლნა)  
---გნ (?) ძილსა შინა და ცხადად-~ კმელთა და წყალ-  
თა ძლე(ვით)---შეწევნა და წარმატება--- (იგ)ულს მო-  
დგინა თვთ მპყბლმნ (მეფემა)ნ და უძლეველმან კელმწიფე-  
(მან) მონასტერი ესე ეკლესიად და დამ(ადგინ)ა მე გნმგდ და  
ეფისკოპოსად უ(ლი)რსი და ცოდვილი მღვდელ მთვრი მა-  
ნოელ და განუჩინეს რაჭის შე(სავალი) და სასჯლო და სა-  
კურთხი ადგილნი დაბინ(ი) მათის სამართლიანის მზღვრი (თა)  
რომელიც ამ ეკლესიის შემავალი არის საყანე და სანადირო  
და სათვზე საწისკვლო საჯოგე სათიბი ტყითა და ველითა  
მთითა დ(ა) ბრიო არას კცის ძალ(ით) წანალები და ნაუსა-  
მართლოველი ა(რა) არის მეფის იყო და მან დაიკლო წის  
ნი(კოლო)სის საყდარს შემოსწირა სარაჭოს (?) გზას აქეთ  
(აქ 21 $\frac{1}{2}$  სტრიქ. წაუკითხველია) წის გიორგის მთის (სა?)ჯი-  
ნიბოს აქეთ ღართ(ის?)ს და ბი-ტას (ბუჯას?) შემოღმა ამ  
ეკლესიის არის კელშეუალად უცილობელად ასე რომ (თუ)  
ნიკორწმინდელმან დასტური არ მისცეს და მისგან ბრძანება  
არ ექნეს არამ კაცმა იმ იდგ ლსა და დაბაში ვერაფერი საქ-  
მობა ვერ იკადრ თუ ვისმეს შერის(ხავს) ლი და ც- ლება  
იკადროს ან ნადირობა ტყის ჭრა ან ქვს თლა ან თევზობა  
ან თიბა კლმფეთა ბძანება არის და გნაჩენი ნიკლწმიდის

\*\*) ქრონიკები II, 44—49.



უდასტუროთ კლის მოკვეთით განიპტიჯოს თუ ელ-ს შემკუცებ-  
თას (არ)ჩეს ოცი ათასი თეთრი დაუურვოს ლ-ჯის საზღ-  
ვარს (?) თბა--ნაწ---ცილევი ამს გამოღმა კაცს კელი არა აქვს  
კნ-- ურში და თხმორ(ის)ში კაცს კელი არა აქს ვერვინ შე-  
(ვ.) ამის შემდეგ გაკრულ ხუცური იმავე ხელით: რ(თა)  
მისი კსნათ--(არა) იქნეს რა ძელსა ჰაბნ ვერცა მეფთა-- (კე-  
ლმწერეთა) უკადრისი--ოდება ვერა ჰკადრო(ს) (არა) ვერცა  
სამწყსოთა მისთა მისი სამსახური და სსჯლო საკურთხი და  
საკანონო მოუკლონ არავინ შევი(დოდეს) :ლუჩ-ს ვერცა(ვინ)  
ავ-ს(მოქმედს) ღი შემწე ექმნეს მღდელთაგან წელსა შა  
მარჩილი მიეცემოდეს დიაკნთაგან ო (sic ორი?) რუპი გლეხ-  
თაგან კიმლზე კოდი პური და შაური დიდებულთა და აზ-  
ნაურთაგან ნიშანი და ყლთა მაღალთა და მდაბალთაგან-- ნი-  
საებრ (წესისაებრ?) სამსახური (ვითარცა ჩრთა?) ღიდთა მე-  
ფეთა განაჩინეს და აღემაღლებინა ეკლესია ესე ბაგრატუა  
მან ღის მოყრემან-- განახლა და აღ(აშენა) და მთის წის  
გის მთავარ მოწამას შემოსწირა-- ძმუისი წყნორი კაციეთი  
ს-ქლ-- რცხილათი სდ ასრე რომ ამ სამს სოფელში არას  
კაცს კელი არა აქუსრა და-----ჩკია მათის საზღურითა და-  
გვწერია და როდეს შეიცვალოს და არცა ოდეს ----ებისენ  
კლდ-ვერცა დახს(ნას?) განჩინებული ესე (სიგელი) აღგი-  
ლისა პტრნთა. -ერ-ცა აფხაზეთისა ჭთა პატრიარქთა--  
(აქ 2 სტრიქ. არა სჩანს)-- მტერობისა-- სიტკიცე-- არცა--  
(2 სტრიქონი არა სჩანს) ნურცა ერისთავნი და ათაბაგნი  
ანუ რაჭის ერისთავნი--

(აქ არ იკითხება 50 სტრიქონი ანუ 100-მდის სიტყვა.  
აზრის აღდგენა შეუძლებელია. სჩანს მხოლოდ ცალკე  
ასოები და აქა იქ სიტყვებიც და როგორც ეტყობა, აქ

წყვეტა უნდა ყოფილიყო მოუგანილი)

დაიწერა ქვ(სა სლ)ვ: \*) კელითა ფრიან ცოდვილისა მ-

\*) ქორონიკონის მაჩვენებელი ვ გარკვევით სჩანს, სლ კი ხატკვლა.



წისა დეკორისა მღდელ გონიზენ(ისა) მარკოზისათა პირდღულ  
გრძელოდ ღთის (?) ურისა ამის ყლთა კიდეთა ქანისათა  
პყრობლსა მეფის(ის). ჩნისა რაპლატისა და მღდელთ მთვრ  
ეფისკოპოზისა ჩნისა მანოელ ნიკეჭმიდელისათა-უ (3 სტრი-  
ქონი კიდევ არ განიჩევა) ხვეული ხელის მოწერა.

რაღვან ქორონიკონი ამ საბუთისა საეჭვოა, ამიტომ საძიებელი  
ხდება, ვინ უნდა იყოს ეს პაგრატ მეფე კურაპალატად წო-  
დებული, განმახლებელი ნიკორწმინდის ეკლესიისა და იქ  
მღდელმთავრის დამდგინებელი. ამ საკითხს არკვევს ერთი  
ნიკორწმინდის სიგელი, ტყავზედ დაწერილი  $314\frac{3}{4} \times 28$  სანტმ.  
ვევეკდავთ ამ სიგელს შემოკლებით. ნიშნად იხმარება 3 წერ-  
ტილი. ციფირები სიტყვების მავიერ ჩვენ დავსვით.

.... (შემდეგ გრძელ ღვთის მეტყველურ წინა ითუვა-  
ობისა)...ჩვენ ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა,  
კახთა და სომეხთა და შანშე და შარვანშა მეფეთ მეფემან  
და ყოველთა მეფეთა შორის ქვეყანისათა ახოვანადა სახელგა-  
ნქომულმან და კიდით კიდემდე სოფლისა მძლედ და უძლეველა-  
და ქადაგებისათა ჩვენ მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედ-  
რემინ ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვიგულეთ და ვი-  
გული მოდგინეთ და კელვჭყავით აღშენებადა დაკნინებულისა  
მონასტრისა ნიკოლწმინდისა და შევქმენ საყდრადა და საეპისკო-  
პოზოდა და დავადგინე და წმიდა და ღმერთ შემოსილი ან-  
გელოზათა მობაძავი მღდელთ მთავარ ეპისკოპოზი წმიდა  
და მეუფე მანოელ და შემოგწირეთ, რათამცა ღირსი და  
სამართალი მასახურება და ვყავვათ აურაცხელისა წყალობისა  
თქვენისა ჩემდამო და შემოგწირეთ ჭი წმიდო მღდელთ  
მოძღვარო ნიკოლოზ, შემოგწირეთ და მოგახსენეთ სულისა  
ჩვენისა საოხადა და ბრალთა ჩვენთა აღსახოცელად და მე-



ფობისა ჩვენისა წარსამართებლადა და შემოგწირეთ რომელსა ზედან შენებულ არს საყდარი შენი და შევამკვე ყოვლითა სამკაულითა საეკლესიოთა დავუნჯენ მას შინა და შევწირენ დაბანი და სოფელნი ნიკოლწმიდას მჭედალიძენი კვამლი 3, ტაჯაძე კვამლი 1, მურუზიძე კვამლი 1, გაეგშიძე კვამლი 1, და პარტახტი 3. საკუთარეულზედან მჭედლიძე კვამლი 1, უყეშ დონაძენი კვამლი 3, პარტახტი დონაძისეული სამი, გურაბანიძე კვამლი 1, კვიკვიძე კვამლი 1, თომძე კვამლი 1, თალულს კელმოკლიძე კვამლი 4, კაცითაძე კვამლი 3. კაბილიძე კვამლი 2, თლულს პარტახტი 1, ზემო თლულს კობახიძე კვამლი 1, ხოტევის კობახიძე კვამლი 4, იწას ჭნაძე კვამლი 2, სტაჯაძე კვამლი 2, ხოტევის კობახიძისა პარტახტი 1, ღვარდის მოწონელიძე კვამლი 4, ვაწაძე კვამლი 1, ბაჯს მეგრელი 1, ნობერიძე კვამლი 1, ჭუხულაშვილი კვამლი 1. ზაზაგაშვილი კვამლი 2, უალამძე კვამლი 1, კენჭაძე კვამლი 1, მღრიანი კვამლი 1, ღადის ხიხაძე კვამლი 1, მღდელაძე კვამლი 2, ქარზანიშვილი კვამლი 4, ფოფახაძე კვამლი 3, ფარჯანაძე კვამლი 2, შვარას დავლაძე 1, მეტეხარას ფარჯანაძე კვამლი 1, ჭნაკვავის კიკაულიანი კვამლი 1, გვენცაძე კვამლი 1. ივან ტაბელაძე კვამლი 1, ხონჭიორს ბუაძე კვამლი 1, ფოფახაძე კვამლი 4, გვენცაძე კვამლი 2, ბაჯს პარტახტი 2 ესე სოფელი და დაბანი ასრე ჩემი ნასამართლი შემიწირავს, რომე არას კაცის ძილადა წანალები არარის რაცა გარაყანიძისა ეული სოფლები არის, გარაყანიძე უშეილო იყო და მე მიანდერდა მისი მამული და მე შემოვსწირე და მისთვის არავინრას მემართლების და ესე გარაყანიძე შორს განაყოფი არის და არცარა ამასთანა საქმე აქვს და რაცა წულუკიძისა ეული სოფლები არის ყველასათვის სანაცლო მამული მიმიცემია და მისთვის არავინ რას მემართლების ამისთვის რომე სხვით მამულითა შემიჯერებია არას წულუკიძისა ნათეუ-სავსა კაცა რაცა შემიწირავს იმასთანა საქმე არააქვს რა. აშ-

იმას გარეთ გაუჭინეთ პატივი და საჯდომი ვითა პატრიაქთა  
და მეფეთაგინ განაკენსა ძეგლსა შინა წერილს არს; გაუჩი-  
ნეთ სამწყსონი და საკურთხნი თოთენდაურს მთას აქადა,  
ოკრიბის მთას აქადა, ნაკალოებსა აქადა, მუხურის მთას აქა-  
და, კვეშლევას ერწოს საჯვარეს აქადა, მთა დავალეთისა,  
ლები, გლოლა, ყისონ გამომდინარე რიონი და სრულადა რაჭა  
ასვისწყალსა გამოღმა... რაც ამა სოფელსა და დაბასა გამო-  
სავალი და ბეგარა გამოვიდოდეს ესენი სრულდ წმიდასა  
მლდელთმთავარ ეპისკოპაზისა ნიკოლწმიდელსა მიებარებო-  
დეს და არას კაცის ხელი არა მიხვდებოდეს... ვინცა...  
მშლელადა და მქუეველად გამოჩნდეს ანუ სხვათა დღილოთა  
პატრიაქნი ანუ აფხაზეთისა პატრიაქი ანუ ქირთლისა პატ-  
რიარქი ანუ აფხაზეთის მეფეთ მეფენი ანუ ერისთავთა ერის-  
თავნი გინდა ათაბაგნი და სპასალარნი ანუ დადიანი და გუ-  
რიელი ენუ შრვანისა და სომხითისა ერისთავთა ერისთავნი და  
გინდა ერისთავნი და ანუ რაჭისა ერისთავი ანუ ციხისთავნი  
ანუ ნაცვალნი და ანუ ტანუტერნი ანუ ამირათამირა ანუ მე-  
ბაჟე და ხელისუფალი ანუ ნატაპეტი და აბრამატი ანუ კა-  
რის ჰქე და მანდატური და ანუ კასტარაბი ანუ მპარავთა  
მეძიებელნი ანუ ტყის მცველთა უხუცესნი ანუ ტყისმცველნი  
და ანუ რაცა ხელისა მქონებელნი იყვნენ--- (კრულ... აფ-  
ხაზეთის კ-ზპატრიარქთა მადლითა და ქართლისა კ-ზპ-ქთა  
მადლითა და მათთა მიმდგომთა მიტროპოლიტთა მთ-ეპისკო-  
პოზთა და სხვათა ეპისკოპოზთა მადლითა....) დაიწერა ბრძა-  
ნება და სიგელი ესე ჩვენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა  
მეოთხესა ქქს სკობ თვეესა აგვისტოსა. თ, ხელითა გიგი  
აბაშიძისათა ნებითა ლთისათა. ხევულად: ბაგრატ.

**მეორე გვერდზე:** (ნიშანად თითო, 2 და 3 წერტილი)

ქ. ჩუენ დთვ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან  
 გიორგი და ძემან ჩვენმან პირშობა პატრონმან ღევან... შემოგწი-  
 რეთ ნიკოლოზიდას წმიდასა ნიკოლოზ ჩუენად სადღეგრძელოდ...  
 და ქეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ და განსამაჯგუბლად ზეღვარდიას.  
 ვაწაძე დავთამ და ბევროზი ქუეღვარდიას ნარიმანაული პარტასტი  
 ნანია ბერაძე მიქელა ბერაძე ბერაულის პარტასტის ნახევარი, ბევრო-  
 ზა ბერაძე, გოგოლი ბერაძე, გიორგია საზე(?), მიხიტას სოხების  
 პარტასტი, ბიჭუა ღვალი, ხუენიუს ზაქარიას ნასახლევი, ნინაი  
 ბათხაძე, გოჩია ბათხაძე, მიქელა მარგოზიშვილი, დათვია მარ-  
 გოზიშვილი, გიორგი კენჭაძე, გოგნია კენჭაძე, მამუა გაგოშიძე,  
 ნასხილია კენჭაძე, ლომიჩა კენჭაძე, მეტევალი კენჭაძე, მასიტა ი-  
 კენჭაძე, მამუა კენჭაძე, დათინა მურუზიძე, გორგობანია ღემერო-  
 ღა გოჩია დავით დაშრიახი, ღვალიას მამუა ბერაძე, ხოტევს ნო-  
 ნია დაჩიბერიძე, გოგიხა დაჩიბერიძე. ამ კაცების ბეგრისაგან სდ  
 შემოგვიწირავს და მოგვიკენებია † მეტახარას ხიზნა თმიაძე,  
 ბეჭანა თმიაძე, გოგნა დაღუნდარიძე, სპანდია დაღუნდარიძე, ნონია  
 დაღუნდარიძე, გიორგი ფოფხაძე, დაღუნდარიძის გიორგის პარტასტი.  
 ამათის ბეგრის ნახევარი და მუშაობა და სამსახური სრულობით საუ-  
 დრისა ქან, ამ ბეგრისაგან თორმეტს ლიტრასა სანთელსა ხატსა  
 მთავრებდეს და ერთსა ლიტრასა საკმელსა.... (მოკლე წევა)  
 დაწერა სიგელი და ბრძანება ესე ქესა სოთ. ხველი: მეფე გიორ-  
 გი ჭამტყიცებ.

**მერალად. ნიშანად 2 წერტილი**

ქ ჩუენ დთვთ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან  
 გიორგი და ძემან ჩვენმან პატრონმან ღეონ... შემოგწირეთ...  
 ნიკოლოზიდას ზაგსადიშვილის ალაგზედნ გურიენიძე ბეჭანა რამინა-  
 სეულს ალაგზედნ ისევლიძე გოგიხა ბურგენიძე როსტევან გოზმია-  
 ური პარტასტი ზემო თღულს სეანაშვილი აღნია, კობახიძე შალვა,  
 ბებეჭა შვილისეული პარტასტი. ამათი ბეგრის  $\frac{1}{3}$  შემოგვიწირავს  
 და მოგვიკენებია სხვა მუშაობა და სამსახური ჩვენი იუს და ვინც



გაიყონ, ისიც ასრე შეგვიწირავს. ამას გარეთ შეარს ფინფიკიშე  
მიქელ და მისი ძმა დათვიათ ფანჯივიძე შეხსან ესენიც მათის მართა-  
ლის (ეს სიცევა სხვა ხელითაა) ბეგრითა

ხელულად: გორგი

ნიშად ორთლი წერტილი. მქრალად. არა ლაპაზად.

ქ. ჩვენ დთისაგან ამაღლებულმან პატონმან მეფეთ მეფემან  
ბაგრატ და თახამეტედრემან ჩვენმან ღერითალმან ელენე ვისმინეთ  
ავა და მოხსენება თქვენი მოვიკითხეთ წმინდის ნიკოლაოზის  
შეწირული სოფელის და გითაცა პირგელ პაპა მამათა ჩვენთა-  
გან განჩინებული და შეწირული უფლილიერ, ისე ჩვენ და-  
გიმრეკიცეთ და განგიახლეთ შენ მღდელ მთავარ ეფისკოპოზის  
ამბორისეს რცხილათი ბუჭას აქეთ სრულად სამი გვარის მო-  
სახლენი გაბისაძენი ჩაფიძენი გამეზარდაშეიღნი, რომ ამ სო-  
ფელსა და მიწასა და ადგილში არას კაცს ხელი არა ქონდეს რა  
გითაც უწინეე უოფლილიერ და უდრობით განრეგნილიერ აწ ვინც  
ეს ჩვენგან დაწერილი სცვალოს ჩვენის ცოდვის გვარად და მუქ-  
ვად განიკითხოს ამინ \*) ხელულად: ბაგრატ.

### XVII საუკ. ხელით. როი წერტილი ნიშად.

....ჩვენ წულუკიძემ გიორგიმ შემოგწირე მამუკა ფოფხაძე მისით  
ოლოშეილით... მოწამე... პეტრე კანდელაკი ხუცია ხუციმშეილი †

### XVIII საუკ. ხელით, ვ წერტილი ნიშად.

...ჩვენ წულუკიძეს მერაბს... შემოგვიწირავს შესაწირი მცირე ესე  
დათვა ფოფხაძემ რომ იშვიალა და გაზარდა თუდარჩი მეგრელი  
ამისის ცოლითა და შეიღლითა.... † ხელულად: მერაბ

\*) ეს ბაგრატ უნდა იყოს აფხაზ-იმერეთის მეფე ბაგრატ VII  
(1510—1565)



ქ. ესე წიგნი მოგეც შე თთარმან აშვილმან და მეუღლემან ჩემშესას  
წერეთლის ქაღმან თვეურო და შვილმან ჩენემან ქაიხთსრო შვილმან  
ჩეგნმან და მომავალმან უფეხლმანებ თქმან ნიკოლწმინდელსა მღღელთ  
მოძღვარსა ნიკოლოზს და წმიდასა მღღელთ მოძღვარსა ნიკოლოზს  
და საუდარსა ტაძა (sic) ჯვარცმისასა ასრედა ამა პირსა ზედან რომე  
მოგვიხდა ცოდვისა საქმედა დიდად საკანონო ცოდი შევართეთ  
ჩვენისა განაუთვისა ცოდ ეთყილი და დიდისა შეხვეწითა ბატონისა  
მეფისა გოთრგისათა შეგეხწენი (sic) გადარიბებულია სხვას გარეთ შევ-  
სწიორეთ საონად სულისა ჩვენისა და სახსრად შევსწიორეთ სამის  
დღეთ სხვაგას კვირიკესშვილი გლეხი 1 მის ეთველისფერით... (მო-  
წამე) კაცთაგან მეფე მეფეთ (sic) კეღმწიფე გიორგი და თანამეცხედ-  
რე მათი ასეული დადიანისა დედოფალთა დედოფალი თამარ \*). .... ††

## მეტად მერალად. XVII საჭუნის ხელით.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე ჯაანმან ბეჭან, ჩემს შვილმნ მამუკამნ და  
ნინიამნ და ასულმნ და ჩვენმან შვილმან და მომავალმან უფეხლ-  
მან მოგეც ჩემს გენახში (ამა) უთიმის ნასეიდსა გენახშე გენახი  
(თ) უარის რვის კასრის კოლოტს უმატებ რასმე შენია ამის მეტი  
არ მომიტემია--ლებ და არას ვიბევრებ (?) მოგეცემია და გიბედნი-  
რის დმერთმან ამინ. †

ამ გვარად ბაგრატ მეფეს 1544 წ. მის მიერ განახლებული  
ნიკორწმინდის ეკლესია საეპისკოპოზო კათედრად გაუხდია და  
მთავარ-ეპისკოპოზად მანოელ დაუდგენია. ცხადია ეს ბაგრატ  
და ბაგრატ კურაპალატი პირველი საბუთისა ერთი და იგივე  
პირია, რადგან პირველ სიგელშიაც მოხსენებულია „ლვთით  
გვირგვინოსანმან მეფემან ბაგრატ (ბოლოში ეს ბაგრატ კუ-  
რაპალატად არის წოდებული) განახლა და კუალად ალა-  
შენა ეკლესია წმინდისა მღღელთ მოძღვრის ნიკოლოზის...  
და დამ(აღვინა) მე განმგედ და ეფისკოპოზად ულირსი და

\* ) მეფე გიორგი VI († 1639)



ცოდვილი მღვდელ-მთავარი მანოელ“<sup>o</sup>. აფხაზ-იმერეთისა შემდეგ მეფოს ამ დროს მართლაც განაგებდა ბაგრატ VII, რომელიც გახუშტით გარდაიცვალა 1548 წელს, ხოლო ნამდვილი საბუთებით კი 1565 წელს, ვინაიდგან ის ცოცხალია 1554 წ.<sup>\*</sup>), ხოლო მისი შვილი გიორგი V გამეფებულია 1565 წ. არა უადრეს 5 თებერვლისა და არა უგვიანეს 29 აგვისტოსი <sup>\*\*</sup>) მაგრამ ბაგრატ კურაპალატად წოდებული და ნიკორწმინდის ტაძრის განმაახლებელი უნდა იყოს სხვა ბაგრატ, ვინაიდგან ბაგრატ VII გამეფდა 1510 წელს, ხოლო ბაგრატ კურაპალატი კი გამეფებული ბევრად უფრო გვიან. სახელდობრ: ნიკორწმინდის სიგელი დაწერილია 1544 წელს 9 აგვისტოს, ინდიქტიონსა მეფობისა მისსა მეოთხესა, ხელითა გიორგი აბაშიძისათა. ამავე ბაგრატ მეფეს უნდა ეკუთვნოდეს გელათის წმინდის გიორგის დიდი სიგელიც, დაწერილი ამავე გიორგი აბაშიძის ხელით 1545 წელს, 12 ივნისს, მეფობის ინდიქტიონს მეოთხეს. <sup>\*\*\*</sup> გაშასადამე, ბაგრატ კურაპალატის გამეფება მომხდარა 1541 წელს 13 ივნისსა და 8 აგვისტოს შორის ის ცოცხალი ყოფილა 1548 წელს (იხ. ზემოდ გვ. 5.) <sup>\*\*\*\*</sup>)

ახლა ვეცადოთ გამოვარკვით, სად მეფობდა ეს ახალი ბაგრატ მეფე? რაკი ნიკორწმინდის ტაძარს ის ანახლებს და გლეხებს სწირავს რაჭის საზღვრებში, ამიტომ საფიქრებელია, რომ რაჭა მის უფლებას ემორჩილებოდა. გელათის წმ. გიორგი სიგლიდან სჩანს, რომ მისივე უფლების ქვეშ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო და ოკრიბაც. ისიც საინტერე-

<sup>\*</sup>) ქრონიკები II, 396—398

<sup>\*\*</sup>) ქრონიკ. II, 410, 412

<sup>\*\*\*</sup>) საქართ. სიცელენი, ტ. I. 17—25.

<sup>\*\*\*\*</sup>) გ. ხუშტის უპოვნია ქრონიკული ცნობა ბაგრატ მეფის გარდაცვალების შესახებ 1548 წ. და შეცდომით ეს წელიწადი მიუღია ბაგრატVII-ის გარდაცვალების წლად. გახუშტის მიერ პოვნილ ქრონიკაში (ქართ. ცხო. გა II, 243) შეიძლება ბაგრატ კურაპალატი ივულისხმებოდა.



სოდ, რომ ამ სიგელს ქართლისა პატრიარქი ამტკიცებს. შე-  
საძლებელია ამიტომ, რომ მასვე ემორჩილებოდა ქართლის  
ერთი ნაწილიც.

ამ საბუთების მიხედვით ჩვენ გვვონია, რომ ეს ბაგრატ  
კურაპალატი უნდა ყოფილიყო რაჭა-არგვეთის მფლობელ-  
თაგანი, რომელთაც ქართლის დასავლეთ ნაწილიც ემორჩი-  
ლებოდათ და რომელთა ჩეზიდენცია ჩხარში უნდა ყოფილი-  
ყო \*) ამასვე უნდა ამტკიცებდეს გელათის წმ. გიორგის სი-  
გელში განსაკუთრებული ზრუნვა ბაგრატ მეფის მიერ ვახ-  
ტანგის ეკვდრისა და ვახტანგ მეფის მწირველის გასამჯელო-  
სათვის. ჩვენის მოსაზრებით, ეს ვახტანგ მეფე ცხოვრობდა  
მე-XVI საუკუნის დასაწყისში, რაჭა-არგვეთის მფლობელთაგა-  
ნი უნდა ყოფილიყო \*\*) და ახლო წინამოადგილე ბაგრატ  
კურაპალატისა, შესაძლებელია მისი ძლიერ ახლობელი ნა-  
თესავიც. ამ მოსაზრებას რამოდენადმე არ შეესაბამება გელათის  
წმ. გიორგის სიგლის ის ცნობა, რომ ბაგრატ მეფის უფლება-  
ს ქვეშ ქვემო იმერეთიც ყოფილა. მაგრამ ეს გარემოებაც ეგებ  
არც ისე უცნაური გამოდგეს, როგორც ერთის შეხედვითა სჩანს,  
როდესაც ჩვენ შეძლება გვექნება მაშინდელი საქართველოს  
სამეფოების შინაური პოლიტიკური ცხოვრება უფრო დაწ-  
ვრილებით გავითვალისწინოთ უმთავრესი ხაზების მხრივ მაინც.

ამ ნაირად თანდათან ირკვევა სჯულმდებელი ბაგრატ  
კურაპალატის ვინაობა. ის ყოფილა მე-XVI საუკუნის პირი.  
ამის შემდეგ მისი სამართლის შესავლის სიტყვებიც ადვილად  
ასახსნელია. „სახელითა ღუთისათა ღაიწყების საღმთო გა-  
ჩენილი და გასაჩენელი პირველად დავითიან ბაგრატ კურა-  
პალატ და იღმაშენებელთა მეფეთ მეფეთა ბრძანებითა და  
მერმე ეპისკოპოზთა, ღიღებულთა და აზნაურთა და ჭკვიანთა

\*) შეადარე ჩვენი შრომა: ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკ. აფ-  
ხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი.

\*\*) იქვე.

კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღუ-  
თისათა. აქ მოხსენებული აღმაშენებელი მეფეთ მეფეთაგანი  
უნდა იყოს ბაგრატ VII აფხაზ-იმერეთის მეფე (1510—1565).  
ცნობილია, რომ ამ ბაგრატ VII-მ დაახატვინა და შეკეთები-  
ნა 1510 წ. ოსმალთა მიერ გადამწვარი გელათის ტაძარი და,  
შესაძლებელია, ქუთაისისაც. ისვე ზრუნავდა საზოგადოდ  
საეკლესიო ცხოვრების განკარგებისთვის და 1519 წელს  
დააფუძნა გელათის საეპისკოპოზო კათედრა. 1529 წ. კიდევ  
მანვე ხონის სამთავარ-ეპისკოპოზო კათედრის დაფუძნებით  
აყო თავისი საბრძანებელი სამ საეპისკოპოზოდ (ქუთაისისა,  
გელათისა და ხონისა). მისვე დროს შედგენილია „საკათალი-  
კოზო სჯულისკანონი“ \*). კუველა ეს გარემოება ცხად ყოფს, რომ  
აღმაშენებელ მეფეთ მეფეთა შორის (შესაძლებელია აქ უბრა-  
plur. majest. იყოს) უნდა იგულისხმებოდეს ბაგრატ VII  
ამ გვარად ჩვენ მივედით დასკვნადის, რომ ბაგრა-  
კურაპალატის სამართალი შედგენილი ყოფილა აფხაზ-იმე-  
რეთის სამეფოში მე-XVI საუკუნის ნახევარში. მისი უმთავ-  
რესი შემდგენელი მეფე ბაგრატ უნდა ყოფილიყო რაჭა-არ-  
გვეთის (ჩხარის) მფლობელთაგანი და ზედ სახელიდ კურა-  
პალატად იწოდებოდა სწორედ ისე, როგორც მისი წინაპარი  
ვახტანგ, აგრეთვე რაჭა-არგვეთის მე-XV საუკუნის მფლო-  
ბელი გორგასალად. ბაგრატ კურაპალატი ტახტზე დამჯდა-  
რა 1541 წელს 13 ივნისსა და 8 აგვისტოს შორის და ცო-  
ცხალი ყოფილა 1548 წელს.

1) იხ. ჩვენიწერილი—საკათალიკოზო სჯულის კანონის შედგენის დრო.

